

დღეს
ნომერშია

დაუბრუნებან თუ არა იმპლემენტი ჩამორთმეულ ქონებას მოსახლეობას 2 გვ.

მშობლიურ სკოლაში, 45 წლის შემდეგ 3 გვ.

შეიძინეთ მგის კოლექტორი და ენარბოვებური ლუბელი 3 გვ.

ბანსხალეპები 4 გვ.

სამეუფაო წირვა თეთრანყაროში



„მადლობა ღმერთს, რომ დღეს შევქელით ამ სოფელში მოსვლა და წირვის ჩატარება, ღვთის სადიდებლად მიხლება ქრისტეს სისხლთან და ხორცთან,“ - აღნიშნა მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა **მეუფა ივლიანე (მამია)** თეთრანყაროს ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში ქადაგებისას 26 ივლისს. მეუფე მელქისედეკმა მადლობა

გადაუხადა ტაძარში მყოფ მრევლს და აღნიშნა, რომ წირვაზე დასწრება და ზიარება უდიდესი მადლია. „დიდი ყურადღებით უნდა ვიყოთ ზიარებისას. წირვა-ლოცვაზე ერთმანეთს არ უნდა ვესაუბროთ. აქ უფალთან სასუბროდ მოვდივარ. ღვთის სახლში მონივნებით უნდა ვიყოთ, თავდახრილნი და გულთ ვლოცულობდეთ. ღმერთმა

დალოცვილები გამყოფოთ და მოგმადლოთ ცოცხათა განცდა,“ - აღნიშნა მეუფე მელქისედეკმა. თეთრანყაროს ფერისცვალების სახელობის ტაძარში, მეუფეს კურთხევით, ყოველ ხუთშაბათს წირვას **მამა ანტონი (სულთანოვილი)** აღავლენს. მამა ანტონი ამავედროულად ხარაგაულის ანდრია პრველწოდებულის სახელობის ეკ-

ლესიის მოძღვარი და ხარაგაულის სასულიერო გიმნაზიის დირექტორია. მეუფე მელქისედეკის თქმით, მამა ანტონი წიგნიერებითა და სულიერებით ძალიან გამორჩეული პირია მარგვეთისა და უბისის ეპარქიაში.

ეპისკოპოსმა დალოცა ყველა ის ადამიანი, ვინც ეკლესიის თანადგომას ცდილობს და თუნდაც მცირედით ეხმარება მას. მეუფეს თქმით, ეს დიდი წვლილი ღვთის წინაშე აუცილებლად დაფასდება. „ტაძრის აღმშენებლის სახელი ყოველთვის მოიხსენიება წირვისას. ეს საოცარი წყალობაა ღვთისგან და ეს მადლი საუკუნეების მანძილზე ეწევა ადამიანს.

ცოცხათა განცდა მოგმადლოთ უფალმა. არ განვიკითხოთ არავინ. იხარეთ ორსავე სოფელსა შინა. ღმერთმა დალოცოს ყველა ის ადამიანი, ვინც მონაწილეობდა თეთრანყაროში მშენიერი ტაძრის მშენებლობაში,“ - დასძინა მეუფე მელქისედეკმა ქადაგებისას. თეთრანყაროს ფერისცვალების სახელობის ტაძარი 2007 წლის 22 სექტემბერს ეკურთხა. ტაძარი ირაკლი ვეფხვაძის დაფინანსებით, ლალი და ირმა ვეფხვაძეების ძალისხმევით აიგო.

60600 კაპანაძე

ლაშქრები ბუნებრივ აირს ითხოვენ

„ბატონო ნოდარ, ქალბატონო ინგა, ბატონო კობა, ძალიან მაინტერესებს რატომ მოხდა ისე, რომ სოფელ ლაშქრში გაზის შეყვანა სათუთი გახდა. ვთხოვთ, მიპასუხოთ არგუმენტირებულად, თუ რატომ უნდა იყოს ბუნებრივი აირი, დავეუფოთ, თეთრანყაროში და არა ლაშქრში. ხომ არავის ავიწყდება, რომ გამსაღწევი სწორედ ჩვენი სოფლის ტერიტორიაზე გადის?...“ - ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატს პარლამენტში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და გამგებელს სოციალური ქსელით საჯაროდ ეკითხება **თაბაკიძე მარიკა**. სოციალური ქსელშივე პარლამენტარი **ნოდარ მამია** ასე ეხმაურება ქალბატონ თაკოს: - ჩვენ მუდმივად ვეკონტაქტებით გადაწყვეტილების მიმღებს, - ენერგეტიკის სამინისტროს და ვანვლით გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციას.

თანხლებითაც და ველოდი, რომ ლაშქრში აუცილებლად მოხდებოდა ამ გეგმაში. არ მახსენდება რომელიმე კვირა, ამის შესახებ რომ არ შეეხსენებინა ლაშქრს მაჟორიტარს დეპუტატს კალანდამს. არსებული ფინანსური შესაძლებლობის გათვალისწინებით შეადგინა სამინისტრომ დღეს არსებული გეგმა. თუმცა იქვე მითხრეს, რომ, სავარაუდოდ, იქნება რეზერვები და პირველ ყოვლისა ლაშქრს გათვალისწინება მოხდებოდა. 23 ივლისს ვესაუბრე მინისტრის პირველ მოადგილეს ქალბატონ მარიკა ვალიშვილს, რომელიც შემპირდა, რომ უახლოეს ხანში მომანვდის დაზუსტებულ ინფორმაციას. დიდი იმედი მაქვს, რომ რეზერვი წელსვე გამოჩნდება. ცალკე თემა ისლარი და ჯაფარიული, სადაც უშუალოდ „სოკარ-თან“ მაქვს კონტაქტი, რომელსაც წელს სამუშაოების ინტენსივობით თავი დიდად არ გამოუჩენია. რაც შეეხება, იმას, რომელი სოფლის გაზიფიცირება უნდა განხორციელდეს ადრე თუ გვიან, ჩემი აზრით, სიქარე ყველგან გვჭირდება და თეთრანყაროელებსაც ისევე ეჭვარებათ ბუნებრივი აირის შესვლა სოფელში, როგორც ლაშქრს, ან ჩხერს. ვიმედოვნებ, მალე კარგ ინფორმაციას მოგანვლით,“ - წერს პარლამენტარი ნოდარ ებანიძე სოციალურ ქსელში.

ამბების აკიდო

ბინების გადასახურად
ოთხი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა იგეგმება უახლოეს მომავალში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. ტენდერში გამარჯვებულმა შპს-მ „პროექტმენი+“ (დირექტორი ვახტანგ თხელიძე) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, გამგეობიდან მოპოვებული ინფორმაციით, უკვე მოამზადა. სოფ. წიფში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვის სავარაუდო ღირებულება 20 000 ლარია; ხარაგაულში, კიკნაძის ქ. №11 და №11(ა)-ში მდებარე, მოლითში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის სავარაუდო ღირებულება კი - 10 000 - 10 000 ლარია. იმ სამშენებლო ორგანიზაციის შესარჩევად, რომელიც ამ საცხოვრებელ სახლებს გადახურავს, ტენდერი უახლოეს პერიოდში უნდა გამოცხადდეს.

საორბული სიხალეები
26 ივლისს ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი უნგ-ფუ სანდაში. შეჯიბრში მონაწილეობდნენ ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის (დირექტორი დავით გელაშვილი) ნორჩი კარატისტები (მწვრთნელი ზვიად კურტანიძე). ტურნირის ჩემპიონები გახდნენ მელანო ჭიპაშვილი, თენგიზ ტაბატაძე, გიორგი მალრადე, ლაშა ბურჯანაძე.

მეორე პრიზორები გახდნენ ვაგა გელაშვილი, თემური ჭანკოტაძე, სიმონ გულუნაძე, გივი მამიაშვილი, ერეკლე მალრადე და მაგული კაპანაძე.

ხიდ-ბოგირაში, გზაში, გაბიონები
შპს-მ „პროექტმენი+“ (დირექტორი ვახტანგ თხელიძე) მოამზადა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ხიდ-ბოგირების, სასოფლო და საუბნო გზებისა და გაბიონების მოსაწყობად. ახლა მშენებელი ორგანიზაციების შესარჩევად ტენდერები გამოცხადდება. ტენდერში გამარჯვებულების გამოვლენისთანავე კი სამუშაოები დაიწყება.

ვანში ხიდ-ბოგირის შეკეთება, სავარაუდოდ, 3000 ლარად იგეგმება; ვარძიში პირველი უბნის ხიდის შეკეთების სავარაუდო ღირებულება კი 4 000 ლარია. კვადრატში მცირე გამაგლობის ხიდ-ბოგირის შეკეთება 25000 ლარადაა დაგეგმილი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში შესაკეთებელია საუბნო გზები. გოლათუბანში 2 კმ-იანი საუბნო გზის შეკეთების სავარაუდო ღირებულება 5000 ლარია განსაზღვრული; ლეღვანში კიბაბოურის 2,5 კმ-იანი საუბნო გზის შეკეთების სავარაუდო ღირებულება - 10 000 ლარია; მარელისში ბერანმინდის 2,5 კმ-იანი საუბნო გზის შეკეთების სავარაუდო ღირებულება - 10 000 ლარია; ხარაგაულში, 9 აპრილის ქ. მესამე ჩიხის 50-60 მ. გზის შესაკეთებლად 2000 ლარია განსაზღვ-

რული; სარგვეში ცისკაძეების 1,5 კმ-იანი საუბნო გზის შესაკეთებლად - 8000 ლარია; ბორის 2,5 კმ-იანი საუბნო გზის შესაკეთებლად - 10 000 ლარია; ხიდარში დაწყებითი სკოლის 0,5 კმ-იანი გზის შესაკეთებლად - 2000 ლარია.

ხევი-ნადაბურის დამაკავშირებელ გზაზე გაბიონების მოსაწყობა, რაც, სავარაუდოდ, 120 000 ლარი დაჯდება. გემოთჩამოთვლილი პროექტების განსახორციელებლად ტენდერების გამოცხადებისა და შედეგების შესახებ ვაცნობებთ.

გადაფრან ვრინველზე ნადირობის სეზონი
15 აგვისტოს იწყება
გადამტერენ ფრინველებზე ნადირობის მსურველებმა ნადირობისას თან უნდა იქონიონ გარემოდან გადამტერენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის (10 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი) და შს სამინისტროს შესაბამისი ორგანოსგან გაცემული შესაბამისი სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ნადირობა აკრძალულია სახელმწიფო ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში და მათ გარშემო 500-მეტრიან ზონაში, ასევე ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში. დაწვრილებით ინფორმაციას შეგიძლიათ გაცნოთ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე moe.gov.ge

დაუბრუნებენ თუ არა იძულებით ჩამორთმეულ ქონებას მოსახლეობას

საკუთრების დაცვის უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. მოქალაქეთა საკუთრების უფლების დაცვის კონკრეტული სამართლებრივი რეგულაციების, დაზარალებულთათვის შესაბამისი კომპენსაციის მექანიზმებისა და ზოგადად, განსახლების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არქონა, ისევე, როგორც მოქალაქეთა მიერ საკუთარი უფლებების არცოდნა, დაინტერესებულ მხარეებს აძლევს საშუალებას კანონის არასწორი გამოყენებით ან ინტერპრეტაციით შელახონ საკუთრების უფლება.

სწორედ ამიტომ, 2011 წელს, ფონდის – "ღია საზოგადოება – საქართველოს" ინიციატივით და ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო პროექტი "საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში". პროექტს "საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" და "საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია" ახორციელებდნენ.

პროექტის მიზანი საკუთრების უფლების დაცვის, ამ უფლების დაცვის გარანტიების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, ასევე, საკუთრების ხელყოფის საფრთხეების შემცირება და უკვე დაზარალებული მოსახლეობისთვის სამართლებრივი დახმარების განწვევა, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და განსახლების პოლიტიკის შემუშავება გახლდათ.

2004-2012 წლებში ქონების იძულებით დათმობის, სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის და ჩუქების ასეულობით ფაქტია გამოვლენილი, რომლებსაც პროექტის ფარგლებში თავი მოეყარა, გაანალიზდა და შესაბამისი რეკომენდაციებიც შემუშავდა.

2004-2012 წლებში, საქართველოს მოქალაქეებისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე ჩამორთმეული ქონებების საკითხი კვლავ ბუნდოვანია. დაზარალებულ მოსახლეობას ამ დრომდე არ აქვს კითხვაზე პასუხი – დაუბრუნებს თუ არა სახელმწიფო იძულებით დათმობილ ქონებას, ან რა სახით მოხდება მათი უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია, რას აკეთებს სახელმწიფო შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების და შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნის თვალსაზრისით.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" პროექტის მენეჯერი გია გვილაგია:

ჩვენ, ამ პროექტის ფარგლებში, გამოვიხილეთ ინფორმაცია ეკონომიკის სამინისტროდან იმის შესახებ, ვინ, რა ქონება და დროის რა მონაკვეთში გადასცა სახელმწიფოს სიმბოლურ თანხად ან საერთოდ უსასყიდლოდ. ყველა ეს ინფორმაცია ეკონომიკის სამინისტროში ინახება. მონაცემები მოიცავს 2004 წლიდან 2012 წლამდე პერიოდში გახორციელებულ ტრანზაქციებს.

აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი სხვადასხვა ტიპის უძრავ-მოძრავი ქონება და ნიღები, ასევე, მოთხოვნის უფლებები უსასყიდლოდ იყო სახელმწიფოსთვის გადაცემული, რომლის საერთო ღირებულება 100 მილიონ ლარზე და ათეულობით მილიონ დოლარზე მეტია. თუმცა, ეს არის ამ ქონების ოფიციალური საბაზრო ღირებულება. მაგრამ რეალურად შესაძლებელია, გაცილებით მეტი თანხა ყოფილიყო.

არის შემთხვევები, როდესაც ერთი ფიზიკური პირი გადასცემს 12-15 მიწის ნაკვეთს სახელმწიფოს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, უსასყიდლოდ. გვაქვს შემთხვევები, როდესაც ასეულობით ავტომობილია სახელმწიფოსთვის გადაცემული ასევე უსასყიდლოდ, ან როდესაც დედაქალაქში არის დაფიქსირებული უძრავი ქონების გადაცემის ფაქტები. მაგალითად, დედაქალაქის მიმდებარე ტერიტორია სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა ერთ-ერთმა პირმა, ასევე, რამდენიმე კომერციული ფართი რუსთაველის გამზირზე და ცენტრალური ადგილებში. არის შემთხვევები, რეგიონებშიც, სადაც სახელმწიფოს მიწის ნაკვეთები გადაეცემოდა.

– დარღვევა ყველა შემთხვევაში აღნიშნულ საკითხში იკვეთება თუ არის გამონაკლისებიც?

– ხშირ შემთხვევაში, ჩვენ გვქონდა ეჭვი, რომ ეს იყო ზუსტად ის შემთხვევები, რომლებიც გარკვეულ ზეწოლასთან იყო დაკავშირებული ფიზიკურ პირზე ან ბიზნესზე. თუმცა, ჩვენს კვლევებში ასეულობით ტრანზაქციას მოცემული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა პრობლემა იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც თავისი სურვილით გადასცემდნენ პირები სახელმწიფოს მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში დადასტურდა, რომ ქონება პირებს იძულებით დათმობინეს. ჩვენი კვლევის მიზანი პრობლემების აღმოჩენა იყო და ვფიქრობთ, ამას მივაღწიეთ. გამოვიტანეთ საამქარაოზე იმ ქონების მოცუ-

ლობა, რომელიც ძალიან დიდი ღირებულებითაა და უსასყიდლოდ არის გადაცემული სახელმწიფოსთვის.

– მიმართეს თუ არა ამ პირებმა სახელმწიფოს ქონების დაბრუნების მოთხოვნით 2012 წლის შემდეგ?

– ჩვენ ცალკე დაგვიკავშირდა რამდენიმე ადამიანი, რომლებმაც მიმართეს პროკურატურას განცხადებით, თუმცა, რა შედეგი დადგა, ეს ინფორმაცია აღარ გვაქვს. ასევე, ჩვენც გვქონდა რამდენიმე ფაქტზე განცხადება პროკურატურაში შეტანილი – ეს ეხება ანაკლიის, საირმისა და გონიოს ტერიტორიებზე გახორციელებულ ტრანზაქციებს. გამოვაქვეყნეთ კიდევ პატარა ვიდეოკლიპი, სადაც დაზარალებულები პირდაპირ საუბრობენ ზეწოლაზე, რომ მათ მუქარით აიძულეს სახელმწიფოსთვის ქონების ჩუქება, თუმცა, არცერთ ამ ფაქტზე პროკურატურის მხრიდან რეაგირება არ გვინახავს. არც კი ვიცით, დღეს გამოძიების რა ეტაპზეა ეს საქმეები.

– აღნიშნული საკითხით მთავარ პროკურატურაში შექმნილი დეპარტამენტი არ დაინტერესდა?

– სანამ მთავარ პროკურატურაში ახალი დეპარტამენტი შეიქმნებოდა, აქტიური კომუნიკაცია გვქონდა პროკურატურასთან. მაშინ ოფიციალურადაც აცხადებდნენ, რომ მიმდინარეობდა საქმეების გამოძიება, თუმცა, საქმეების სიმრავლიდან გამომდინარე, ის დროში ჭიანჭურდებოდა. ახალ დეპარტამენტსაც, დაახლოებით, იგივე პასუხი აქვს, რადგან ძალიან ბევრი საქმეა მათ წინაშე. როდის მიენიჭება ამ საქმეებს პრიორიტეტი ან როდის მოუწევს გამოძიება, არ ვიცით. მათ მიერ რამდენიმე საქმეზე საჯაროდ გაკეთებული განცხადება ძალიან ცოტაა, რადგან პრობლემა რეალურად გაცილებით მეტია.

– დაზარალებული მოსახლეობის ნაწილი სტრასბურგის სასამართლოსთვის მიმართავს აპირებს. თუ არის საქმე წარმოებაში მიღებული და რა ეტაპზეა ის?

– რამდენიმე საქმე არის წარმოებაში მიღებული. ერთ-ერთი ანაკლიის საქმეზე, სადაც პირს 48 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ჩამორთვეს. ქონების ჩამორთმევა ამ შემთხვევაში განსხვავებული ფორმით მოხდა. საკუთრების უფლება ნამდვილად შეიზღუდა და ამ ადამიანმა ეს საქმე ორი წლის წინ სტრასბურგში გაასაჩივრა. ეს პროცესი ჯერ არ მიმდინარეობს. კიდევ არის რამდენიმე საქმე, რომელიც საია-მ გაავრცენა ევროსასამართლოში. ხშირად იყო ის პრობლემებიც, რომ სასამართლო სისტემის გავლით ვერ ხერხდებოდა დარღვეული უფლების აღ-



დგენა. ძალიან ბევრმა არ იცოდა პროცედურები, არ ჰქონდათ გასაჩივრების რესურსი და ვადები გაუშვეს, რის გამოც პროცესები წაგებული აქვთ. მათ ამის შემდეგ ვერ ან არ გაასაჩივრეს სტრასბურგში. თუმცა, ეს ადამიანები რეალურად დაზარალებულნი არ არიან, განსაკუთრებით რეგიონის მოსახლეობას ეხება.

– რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ამ პროექტის ფარგლებში და შემდგომ გაცემულ რეკომენდაციებს, რამდენად ითვალისწინებს მათ ახალი ხელისუფლება?

– ამ კუთხით ძალიან ბევრი რეკომენდაცია არსებობს, მათი დიდი ნაწილი ექსპერტთაგანია ეხება. ამ კუთხით, კანონზე რეალურად მუშაობა, რამდენადც ვიცით, არ მიმდინარეობს და ისევე ის კანონი გვაქვს, რაც წლების განმავლობაში იყო. რაც შეეხება სხვა რეკომენდაციებს, ძირითადად, ჩვენი მოთხოვნა იყო გამოძიება დანებებული და აღდგენილიყო ხალხის უფლებები. თითქოს გადაიდგა ნაბიჯები მთავარ პროკურატურაში ახალი დეპარტამენტის შექმნით, მაგრამ, ჯერჯერობით, შედეგი არ გვაქვს. გასაგებია, რომ ბევრი საქმეა, მაგრამ ამ დეპარტამენტის შემთხვევაში, არ ვიცით, როგორ და რა საქმეებს ანიჭებენ პრიორიტეტს, ვინ წყვეტს ამას და რატომ არის ეს საქმეები ნაკლებმნიშვნელოვანი. აქედან გამომდინარე, რეკომენდაციების დიდი ნაწილი ძალიან არ არის.

კომიქსის ავტორი რუსუდან ხიზანიშვილი

მასალა მომზადებულია პროექტის – "საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში" – ფარგლებში.

პროექტის ფინანსური მხარდაჭერა ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველო". პუბლიკაციაში გამოქვეყნებული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის შეხედულებებს.



მშობლიურ სკოლაში, 45 წლის შემდეგ



„ერთ მერხთან ვისხედით მე და ზიზილო გაბუნია. ჩვენს უკან ვლადიმერ გელაშვილი იჯდა. ზიზილო მათემატიკაში იყო საუკეთესო მოსწავლე და დოვრეთი ნიკოლეიშვილი დაფასთან ხშირად იხსებდა. ერთხელაც, ადგა ზიზილო, მიემართება დაფისკენ და მივყვები მეც. თურმე ვლადიმერს თმებით გადავუბივართ...“ - გაიხსენა **ლუიზა კიკნაძე** სკოლის დამთავრებიდან 45 წლის

აღსანიშნავ ღონისძიებაზე. ხარაგაულის №10 საშუალო სკოლის 1970 წელს კურსდამთავრებულები მშობლიურ სკოლაში შეიკრიბნენ. სკოლა 46-მა მოსწავლემ დაამთავრა. 12 მათგანი გარდაცვლილია. დღეს კი მოსწავლე 24-მა შეძლო. „ოლეგი მდინარაძემ მითხრა, სტუმრად უნდა წამოგვეყო. ვთქვი სახლში, თანაკლასელი მესტუმრება-მეთქი. დედაჩემმა წინილა

დაკლა, ხაჭაპურები გამოაცხო. არ წამომეცა ოლეგი, არც მეორე და არც მესამე დღეს. კი მარა, ოლეგი ძროხის დაკვლას ელოდება, თუ რაშია საქმეო, - მითხრა მამაჩემმა,“ - გაიხსენა **ვლადიმერ ბაქაშვილი**. „არდაღვევებზე პიონერხელმძღვანელ ნუნუ მასწავლებელთან ერთად სკოლაში მაინც მოვდიოდიო. მასთან სახლში სტუმრობაც გვიყვარდა - საუცხოო მურაბებით

გვიმასპინძლებოდა. ჩვენ შეკრული კლასი ვიყავით. სოსო მელქაძე და ნოდარ ჭანკოტაძე იყვნენ განუყრელი მეგობრები. ბედნიერი და ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი შეხვედრის გამო. გახსოვთ, ჰერა მასწავლებელი რომ გვეუბნებოდა, რომ არ მიყვარდით, თქვენ კლასში სულ არ შემოვიდოდით,“ - იხსენებს **მარინა ბიორბაძე**. „ჩემს გულში ახლა ერთ უთქმელი სიტო და სიხარულია. სევდაც დამეფულა - რამდენი წელი გასულა ბავშვობიდან... ერთმანეთი არ დავკარგეთ,“ - მიმართა თანაკლასელებს ზურაბ კამკამიძე. „გახარებულეები ვართ ყველა. დიდი ბედნიერებაა წლების უნახავ თანაკლასელებთან შეხვედრა,“ - ამბობს **ნათელა ლპაძე**. განსაკუთრებული სიურპრიზი იყო მეგობრებისთვის ზიზილო გაბუნისთან შეხვედრა. ის იტალიიდან სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოვიდა. „გამოვიქეცი ჩემს ბავშვობასთან. თითქოს დღეს ისევ 18 წლის ვარ. გავახალგაზრდავდი. ასეთი ბედნიერი დღე ჯერ არ მქონია ცხოვრებაში. დიდი ემოციებით გამომაცილეს იტალიიდან. ოთხშაბათს უკან ვბრუნდები,“ - გვითხრა **ზიზილო გაბუნია**. სკოლაში შეკრებილ კურსდამთავრებულებს ყოფილი მასწავლებელი **მერი ბიორბაძე** და პიონერხელმძღვანელი **ნუნუ ასა-**

თიანე შეხვედნენ. მათ ხარაგაულის №3 საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე **ნანა კვიციანი** მიესალმა. „ულამაზესი წუთებია. დარწმუნებული ვარ, თითოეული თქვენგანისთვის ეს 45 წელი არის ძალზე დატვირთული და შინაარსიანი. ვიცი, რომ ღირსეულად ცხოვრობთ და ალბათ ნატრობთ ბავშვობის დღეების დაბრუნებას. ამაზე მეტი ბედნიერება რა არის, როცა წლების მერე მოხსიყვარულებით იმ კედლებს, სადაც გაიზარდეთ, სადაც მომავალი დაგილოცეთ. დიდი მადლობა თქვენი შეკრების ორგანიზატორებს - ლუიზა კიკნაძეს, ვლადიმერ გელაშვილს, ნათელა ლპაძეს, საშა მეტრეველს და სხვებს,“ - აღნიშნა მერი გიორგიძე. გარდაცვლილ თანაკლასელთა სულების მოსახსენებელი პარაკლისის გადახდა თხოვეს კურსდამთავრებულებმა ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესიის მოძღვარს მამა ანტონს (სულთანშვილი). „დიდებულია, ასეთ ღონისძიებაზე რომ თქვენს გარდაცვლილ მეგობრებს არ ივიწყებთ. ღმერთმა მოიხსენიოს და აცხონოს მათი სულები. თქვენ დღევანდელ დასწავლას და სწავლებას გისურვებთ,“ - დალოცა ისინი მოძღვარმა. **ნინო კაკაბაძე**

მზის კოლექტორი და ენერგოეფექტური ღუმელი - ეკოლოგიური და ეკონომიური

ერთი წლის მანძილზე მზის კოლექტორის გამოყენება ცვლის იმ ენერჯიას, რაც გამოიწვევს გარემოში ერთი ტონა CO2-ის გამოფრქვევას. შეშის ეფექტური ღუმელი კი ანახევრებს ოჯახის მიერ მოხმარებულ შეშის რაოდენობას, - განაცხადა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ექსპერტმა **ამირანდილ ბაქაძემ** ხარაგაულში ადგილობრივი ხელი-სოფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა ახორციელებს პროექტს „სამოქალაქო ორგანიზაციების თანამშრომლობა მთავრობასთან და სხვა მხარეებთან ერთგულად მისაღები კლიმატის ცვლილების შეზღუდვის ქმედებებზე სოფლად მდგრადი ენერჯის განვითარებისთვის.“ „უამრავი საერთაშორისო თავყრილობა იმართება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, - აღნიშნა ხარაგაულელითან შეხვედრაზე ავთანდილ გელაძემ, - ამ მიზნით მსოფლიო ქვეყნების ლიდერები იკრიბებიან, მაგრამ საერთო დასკვნამდე ვერ მიდიან. უკვე აღარ საუბრობენ კლიმატის ცვლილების თავიდან აცილებაზე.

ამიტომ ყველა ქვეყანამ აიღო საკუთარ თავზე ვალდებულება, რომ იმოქმედებენ კლიმატის ცვლილების შესარბილებლად.“ ავთანდილ გელაძის თქმით, ერთ-ერთი ასეთი მიმართულება, რომელიც მწვანეთა მოძრაობამ მთავრობას შესთავაზა, გახლავთ მზის კოლექტორებისა და ეფექტური ღუმელების დამონტაჟება მოსახლეობისთვის: -მზის კოლექტორი წელიწადში რვა-ცხრა თვე უზრუნველყოფს მუშაობას. რადგან ორიენტაცია ავიღეთ სოფელზე, ზამთარში ღუმელზე წყალი მაინც დგას და ამიტომ მზის ისეთ კოლექტორს ვთავაზობთ, რომელიც აპრილიდან ოქტომბრის დასაწყისამდე გამოიყენება. ვცდილობთ, რომ მზის კოლექტორიც და ღუმელიც ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობისთვის. ამიტომ წარვადგინეთ დონორებთან და გვაქვს დაფინანსების იმედი. ჩვენი სურვილია, 15 ათასამდე მზის კოლექტორის მშენებლობა-დამონტაჟება მოსახლეობისთვის შევავითიანი პირობებით. თუ დონორებმა მხარი დაგვიჭირეს, ოჯახი მზის კოლექტორისა და ეფექტური ღუმელების მხოლოდ ნახევარს გადაიხდის. მზის კო-

ლექტორის დამზადება-მონტაჟი ამჟამად 1000-1100 ლარი ჯდება, ეფექტური ღუმელი - 300-400 ლარი. დარწმუნებული ვართ, რომ ხარაგაულში ბევრი მსურველი იქნება. საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებიდან 10 ათასი ოჯახის განცხადება გვაქვს, რომ გრანტის პირობებში შეიძინონ კოლექტორი. ამ პროცესს არაპირდაპირი შედეგებიც აქვს ქვეყნისთვის - გამართება კოლექტორების წარმოება, რასაც დასაქმება მოჰყვება. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ გარემოზე გემოქმედება შემცირდება. ავთანდილ გელაძის ინფორმაციით, მზის საცდელი კოლექტორები უკვე დამონტაჟებულია ზესტაფონსა და სამტრედიანში. ხარაგაულშიც, ადგილობრივი ხელისუფლების რეკომენდაციით, ერთ ოჯახში უფასოდ დაამონტაჟებენ მზის კოლექტორს. „სამასამდე კოლექტორი უკვე დამონტაჟეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში - ასამდე ოჯახში - ხონში, 35 ოჯახში - მანავში და სხვაგან, - ამბობს ავთანდილ გელაძე, - ყველა მუშაობს ბრწყინვალედ. შარშან, მანავში, 28 აგვისტოს, მზის კოლექტორზე ადგილები წყლით გავი გაფუფქეს.“



მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენლის ინფორმაციით, საქართველოში 365 დღიდან 280 დღე მზიანია. გამოდის, რომ ყოველი მესხეთე დღე მოლრებულული ან ნემიანია. ეს არ ქმნის საფრთხეს კოლექტორისთვის, თუმცა ზამთარში შეიძლება მისი ეფექტროვნეობაზე ჩართვა. ავთანდილ გელაძის თქმით, მზის კოლექტორისა და ეფექტური ღუმელის შესაძენად მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან შესაძლებელია შევავითიანი პირობებით განვადება. თავად კოლექტორის შეუფერხებლად მუშაობის

გარანტია კი 10 წელიწადია. „ხარაგაულის მოსახლეობას ვთავაზობთ 280 შეშის ეფექტური ღუმელისა და 160 მზის კოლექტორის დამონტაჟებას, - აღნიშნა შეხვედრაზე მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარე **რუსუდან სიმონიძე**, - აღმინისტრაციულ ერთეულებში გამგეობის წარმომადგენლებს გადავცეცი სპეციალური კითხვარი და შესავსები ფორმა, რომ გამოავლინონ ხარაგაულში მზის კოლექტორისა და ეფექტური ღუმელის შექმნის მსურველები.“ **ნინო კაკაბაძე**

„სარგო“ - პირველი კოოპერატივი ხარაგაულში მალე პირველ პროდუქციას გამოუშვებს

კიკხის რძის გადამამუშავებელი კოოპერატივი „სარგო“ აგვისტოს შუა რიცხვებისთვის პირველი პროდუქციის გამოშვებას გეგმავს. „მოსამზადებელი ეტაპი უკვე დასრულდა, - ამბობს „სარგოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი **გიორგი ბაქაშვილი**, - გარემოებები შენობა, დამონტაჟდა საჭირო აღჭურვილობა. რძეს გლეხებიდან შევისყიდით. ჩვენი მომწოდებლები, სავარაუდოდ, იქნებიან ჩვენი კოოპერატი-

ვის წევრები. მათ გავუწევთ ყოველგვარ, მათ შორის, ვეტერინარულ, მომსახურებას; მოვამარაგებთ ყველაფრით, რაც კი საჭიროა ხარისხიანი რძის მისაღებად. „სარგოს“ პროდუქცია ჯანსაღი უნდა იყოს!“ 9-17 მაისს გიორგი გველესიანი ჩეხეთში მიიღო გამოცდილება. 23 ივლისს კი კიკხში იმყოფებოდნენ და კოოპერატივი „სარგო“ დაათვალიერეს პრადისა და აკაკი წერეთლის უნივერსიტეტების სტუ-

დენტებმა; გაეცნენ ახალდაფუძნებულ კოოპერატივში ჩატარებულ მოსამზადებელ სამუშაოებს. „სარგოს“ წარმომადგენლები პროდუქციის გაყიდვას სუპერმარკეტების ქსელში აპირებენ, ჯერ ჯეროდა, მხოლოდ მეზობელ მსტაფონის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ქუთაისში. როგორც გიორგი გველესიანის თქმით, ჰყავთ კიდევ პოტენციური კლიენტები, რომლებიც ამბობენ, - „გვარწმუნეთ პროდუქცია და

პრობლემა არ არის გაყიდვის.“ სამომავლოდ თბილისისკენ აპირებენ ბაზარზე ადგილის დამკვიდრებას. მიუხედავად იმისა, რომ ხარაგაულში ბევრ ოჯახში ჰყავთ ძროხა და დიდი ოდენობით გაყიდვების მოლოდინი ნაკლებია, „სარგოს“ შეთავაზებას ხარაგაულის ყველა მაღაზიისთვის აპირებენ. კოოპერატივი „სარგო“ გიორგი გველესიანმა, ომარ გავოშიძემ, როინ გელაშვილმა, გიზო მიქიაშ-

ვილმა, ზვიად კავილაძემ და ზვიად ქოჩიაშვილმა მიმდინარე წლის დასაწყისში ევროპის სამეზობლო პროგრამის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD) დახმარებით შექმნეს. ახალფუნდამენტულ „სარგოს“ ბაზარზე საფუძვლიანად დამკვიდრებას ვუსურვებთ, მომხმარებლებს კი მხოლოდ ჯანსაღი პროდუქციის შექმნას ვურჩევთ. **ლარსა გოგოლაძე**

ვიზრუნოთ კლანეიტაზე



რამდენიმე წელია, ფრანგული ორგანიზაცია Momavali-France ზაფხულში ლამაზ დღეებს ჩუქნის ხარაგაულელ ბავშვებს. წელსაც ამ ორგანიზაციის ხელშეწყობით შეიკრიბნენ მოსწავლეები.

გაიმართა რამდენიმე საინტერესო ღონისძიება. მოსწავლეებმა თარგმნეს 2015 წლის მისში ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე - „ახალგაზრდა ევროპელები, ვიზრუნოთ პლანეტაზე“, თანატოლებისგან შედგენილი

მოწოდება. მოწვეო ექსკურსია ქუთაისში, სადაც მოსწავლეებმა მოინახულეს სათაფლიის მღვიმე, გელათის, მონამეთას და ბაგრატიის ტაძრები.

ბორითის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე გურამ კურტანიძე კმაყოფილია პროექტში მონაწილეობით და ამბობს, რომ საინტერესო ინფორმაციას იღებს ეკოლოგიურ საფუძვლებზე.

ხარაგაულის სასულიერო გიმნაზიის მეფექსკულასელ თეონა ჭი-

შაშვილს ძალიან მოეწონა ტაძრების მოლოცვა. ბაზალეთის საჯარო სკოლის მოსწავლე კესო ჩხიკვაძე, მესამე წელია, რაც ამ პროექტშია ჩართული და მომავალშიც გეგმავს მონაწილეობას. პროექტის მონაწილეები მადლობას უხდებიან ქალბატონ ინა სამსონს და პროექტის „ვიზრუნოთ პლანეტაზე“ კოორდინატორს საქართველოში ცისანა ჭიშაშვილს საინტერესო დღეებისათვის.

თამარ ჩხიკვაძე

ვულოცავთ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ხარაგაულის“ ექიმ თერაპევტს **აზა ფურცელაძეს** ანა ფურცელაძის დაბადებას. ვუსურვებთ პატარა ქალბატონს ჯანმრთელობას, უღვე სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას, ღვთის უღვე წყალობას და საუკეთესო მომავალს.

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ხარაგაულის“ თანამშრომლები

ნინო ბარბაქაძეს და **პაპი გომბაძეს** ვულოცავთ შვილიშვილის, **ირაკლი გომბაძეს** და **მელანე ჯაჭვიაძეს**, - ქალიშვილის ამქვეყნად მოვლინებას. ვუსურვებთ ნინო ბარბაქაძეს, ლელ ბავშვობასა და ბედნიერ მომავალს.

ლაშრა გომბაძე, ზაზა ლომიძე ოჯახი

ვულოცავთ ვახანის საბავშვო ბაღის დირექტორს **თამარ ჯანაძეს** დისშვილის დაბადებას. ვუსურვებთ პატარა **ირანს** ჯანმრთელობას, უღრუბლო ზეგას და უფლის მფარველობას.

ვახანის საბავშვო ბაღის კოლმეტივი

შვილიშვილის შექმნას ვულოცავთ **ნინო მაღლაკლიძეს** და მის ოჯახს. პატარა **თამარ პორტუგალიას** ვუსურვებთ სიხარულს, ბედნიერებას, უფლის მფარველობას, კარგ და ნათელ მომავალს.

„ჩემი ხარაგაული“ რედაქცია

ვულოცავთ **კამელ ბარბაქაძეს** და **მელანე ნათინაძეს** მეოთხე შვილის დაბადებას. ვუსურვებთ პატარა **ბერიკას** ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, კარგ მომავალს თავის უფროს და-ძმასთან ერთად.

„ჩემი ხარაგაული“ რედაქცია

იყიდება

იყიდება კრამიტით დასურული ხის სახლი 9X10-მეტრ სარგვეტში. შესაძლებელია სახლის დაშლა. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 790 30 36 07 დარეკან ცისკაძე.

იყიდება რკინის ახალი „გარაჟი“ რუსული ნარმოების, ასანწყობი „ბოლტ-გაიკით.“ დავეიკავშირდით ტელეფონით: 593 34 74 42 ბონდო.

მადლობა სიკეთისთვის

ულრმეს მადლობას ვუხდით ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებაში გაერთიანებულ (დირექტორი ირმა სეზიკვერაძე) და ამავე გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღების ყველა თანამშრომელს 13 ივნისის სტიქიით დაზარალებული ჩემი შვილის, მავა ჭანკვეტაძის, ოჯახის

თანადგომისა და დახმარებისათვის. ღმერთმა სიკეთე და სიხარული მოგვცეთ თითოეული თქვენგანის ოჯახს. უფალმა დაგიფაროთ ყველა განსაცდელისგან.

მადლიერებით,
ნათია ჭანკვეტაძე
წყალაფორეთის საბავშვო ბაღი

შვება

სამოგადოება რომ ორ ნაწილად არის გაყოფილი, ბინძური პოლიტიკის გამო, ეს ყველასთვის ცნობილია. არა მარტო სამოგადოება, ოჯახის წევრებიც კი ამ დღეში არიან.


მიმართა, რომ სრული განუკითხაობა დასაქმების კუთხით. ეს პრობლემა მკვეთრად ჩანს ხარაგაულში. ღმერთმა ყველა დასაქმოს, მაგრამ ზოგი ოჯახიდან საჯარო სამსახურში რამდენიმე წევრი მუშაობს, ზოგიდან - არც ერთი. როგორც საზოგადოებიდან ვისმენ და მეც ვეთანხმები ამ საკითხს, თანამდებობის პირის ან მეჯარე უნდა იყო, ან მოგვარე, ან კლასიკური, სამსახური რომ მიიღოს. ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს, ვინ ხარ, როგორი პოზიცია გიჭირავს. ამის შესახებ დიად ვესაუბრე გამგებლის პირველ მოადგილე პაატა გოგოლაძეს.

მე პირადად 28 წელია უშუშეკარი ვარ და ახლობლის დახმარებით ვგრძობ ერთადერთ შვილს.

შვება რომ ვიგრძნო, ეკლესიაში სისტემატური სიარული დაიწყო. 26 ივლისს წესდების წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში დავესწარი ჩემი მოძღვარის, მამა ანდრეას (მარუაშვილი) წირვას და მოვისმინე მისი ქადაგება. მამა ანდრეა არის ადამიანი, რომელმაც მომაქცია. შეუძლებელია მისი ქადაგება და გალობა მიყვარებულებისადმი ცრემლების გარეშე მოუსმინო. მადლობა ჩემს მოძღვარს, გაუსაძლის ყოფას რომ მიმსუბუქებს.

ნაზი იაშვილი

გიორგი შარიქაძე



„დილით ავდექი კვლავ შენზე ფიქრით, მთის კორტხეებზე ნისლევი ნვიმდა, მინას დაეცა პირველი ნვეთი, შენსავით წმინდა, შენსავით წმინდა,“ -

უთქვამს პოეტს. მართლაც წმინდანით განვლეს ისედაც ხანმოკლე წუთისოფელი. მოვიდა ავადმოსავლობა დღე, როდესაც შენთვის ამქვეყნიური ცხოვრება დასრულდა. ჩვენთვის კი სამუდამო გლოვის დღეები დაიწყო. სევდიანი და ცრემლით სავსე 40 დღე გავიდა. წარმოუდგენლად მძიმე ყოფილა წარსულ დროში შენზე საუბარი

ჩვენო ჭკვიანი, წყნარო, მორიდებული, ჩვენი ოჯახის ბერძენა! ცუდ დროს წამოგვანია უღმრთე ბედის მახვილი. დატოვე პატიოსნებით, სიკეთითა და სიყვარულით სავსე სახელი, რომლის გახსენებაც ცრემლით ვესება თვალები შენს უფროს შვილებს, რომელთაც ბედის უკუღმართობის გამო სამუდამო განსასვენებლად ვერ მოგაცილეს. შენი უმცროსი ქალ-ვაჟი ცდილობენ, არაფერი დააკლდეს შენ ოჯახს, შენს კაცურ სახელს.

მარადიული ტკივილი დაუტოვე შენს დედმამიშვილებს, სანათესაოს, სამეგობლოს, რძლებსა და ერთადერთ ძმისშვილს, რომლებიც დღეს თვალცრემლიანი, გულდაწყვეტილი მდუმარედ დგანან შენს საფლავთან. შენი საფიცარი დისშვილები და შვილიშვილები უამრავ ყვავილს მოგიტანენ, აანთებენ წმინდა სანთლებს და უფალს შეავედრებენ შენს ლამაზ სულს.

იძინე მშვიდად. გწამდეს, სანამ ამქვეყნად ვიქნებით, შენი ნათელი სიონა მუდამ იქნება ჩვენს გულში. არასოდეს დაიფრთვლება შენი სახელი.

შპიო საყვარელი ოჯახი



დედა ნელი, მამა რეზო, მეუღლე ნატო, შვილები მარიამი, ბარბარე, დები ია, ლია, ძმები გია, მალხაზი ოჯახებით, სიდერისძე თენგიზი ტაბატაძეები, დეიდები, მამიდები, ბიძები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა **გიორგი შარიქაძე**.

დაიკრძალა 26 ივლისს ზარანში.

რამაზ ოსანაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს **დავით გაბუნიას** გარდაცვალების გამო და თანაუგრძობს მშობლებს ნელი და რეზო გაბუნიათ და მეუღლეს ნატო ტაბატაძეს დიდ მწუხარებაში.

თემიკო ოსანაძე ოჯახით თანაუგრძობს ნელი და რეზო გაბუნიათ შვილის, ნატო ტაბატაძეს მეუღლის **დავით გაბუნიას** გარდაცვალების გამო.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანის“ ხარაგაულის სერვისცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ პაატა თაბატაძეს დისშვილის **გიორგი შარიქაძის** გარდაცვალების გამო.

სულიკო შარიქაძე, თამაზი მალრაძე, კახა მდინარაძე, თამაზი კოვბირიძე, ბესო ტაბატაძე, ნიკა მალაფერაძე, გოგა ლაცაბიძე სამძიმარს უცხადებენ გულო გაბუნიას, მანანა ტაბატაძეს, შორენა ლაცაბიძეს, შალვა და გიორგი ლომსაძეებს უსაყვარლესი ძმისშვილისა და ბიძაშვილის **დავით გაბუნიას** გარდაცვალების გამო.

ნათელა ქურდაძე, ციური გაჩეჩილაძე, ნანი მანჯავიძე, ნანა დარბაიძე, მილუშკო ლოლაძე, ნათელა მალრაძე, თინა ამა-ნათოვი სამძიმარს უცხადებენ გულო გაბუნიას, მანანა ტაბატაძეს, შორენა ლაცაბიძეს, შალვა და გიორგი ლომსაძეებს საყვარელი ძმისშვილის **დავით გაბუნიას** გარდაცვალების გამო.

მათიკო სხილაძე, ციციონი მალრაძე, მადონა თაბუკაშვილი, ნათია გიორგაძე, ირინა ცხვედაძე, ნელი ხარაიშვილი, ნაზი და ეკა ფერაძეები თანაუგრძობენ ნაილი და მანანა გაბუნიათ ძმისშვილის **დავით რაჭოს ძე გაბუნიას** გარდაცვალების გამო.

დავით გაბუნია

რა უბედური დილა გათენდა, მალე ჩამოკრავს გლოვის ზარები, დამტოვებ, ნახვალ, სად გეჩქარება, კახორბის დღეს მარტო დავრჩები. ჩემად ლოცულობენ სანთლები, ეს დღე გათენდება უშენოდ. მე კი ამ ხატებთან დავდგები, იქნებ ჩვენს პატარებს ვუძველო. სახლი უშენოდ დაკარგვდა, როგორ გელიან შენი შვილები, გული უშენოდ დაპატარავდა, მაინც არ გვისმის ჩემი ქვითინი.

მეუღლე ნატო ტაბატაძე

ნორა მალრაძის ხსოვნას

ორმოცი მწუხარე დღე გავიდა, დედა, შენი გარდაცვალებიდან. რა ძნელი ყოფილა უშენობა. თბილი, კეთილი, მოსიყვარულე, მშრომელი, მეგობლებისა და ახლობლების მოყვარული იყავი. ამიტომაც ყველას ძალიან დაეწინა. რა ვქნათ უშენოდ? როგორ მოვიშუშოთ ამქვეყნიდან შენი ნასვლით მოყვნილი ტკივილი?



ძალიან გვეწინა და გვენატრები. გწამდეს, არასოდეს დაგვიწყებო. მუდამ ვილოცებთ შენთვის. უფალს შევთხოვთ, რომ მუდამ ნათელში ამყოფოს ნორა მალრაძის სული.

მეუღლე კობა, შვილები პაპი, გულუ, იაგუა მალრაძეები, შვილიშვილები შალვა, შორენა, შაგი გელაშვილები

<p>მთავარი რედაქტორი ლაურა გომოლაძე</p> <p>რე 593 900 501</p>	<p>რედაქტორის მოადგილე ნინო კაპანაძე</p> <p>593 35 65 80</p> <p>თამთა გომოლაძე</p> <p>555 57 45 78</p>	<p>ლიზანიერი შოთა ლომიძე</p> <p>557 10 20 47 shotiko@lomidze.info</p>	<p>მის.: ხარაგაული, სოლომონ მეფის №59</p> <p>ტელ.: 0 433 22 16 27 593 900 501</p> <p>gogoladze.laura@gmail.com</p> <p>გაზეთი რეგისტრ. №47/5-ბ-12</p>
--	---	---	--